№3-753 02.09.2021

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსს
ბატონ ზურაბ ჩეკურაშვილს

შეტყობინება: ეტიკეტირების წესების დარღვევა

ბატონო ზურაბ,

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის თანამშრომელმა, ლია თოდუამ 2021 წლის 9 ივლისს სეს-ს მიმართა წერილით სამი დასახელების სპრედზე ეტიკეტირების წესების დარღვევასთან დაკავშირებით, რომლებიც სიღნაღისა და წნორის მაღაზიებში იყიდებოდა.

მიმდინარე წლის 25 აგვისტოს მიიღო პასუხი, რომლის თანახმადაც შესაბამის ბიზნესოპერატორებს დაევალათ ეტიკეტირების წესების დარღვევით ბაზარზე უკვე განთავსებული პროდუქციის ამოღება (ლ. თოდუას მიმოწერა სეს-თან იხილეთ დანართებად). მიუხედავად ამისა, ლ. თოდუა 30 აგვისტოს სიღნაღში კვლავ შეესწრო იმავე პროდუქციის, იგივე დარღვევით გაყიდვის ფაქტს.

კერძოდ, სიღნაღში, ც.დადიანის ქ. N. 21-ში, ი/მ ირაკლი მჭედლიშვილის (ს/კ 40001024980) მაღაზიაში იყიდებოდა სპრედები „სანტე" და „შატილი". პროდუქტებისა და შესყიდვის დამადასტურებელი ქვითრის ფოტოებს გიგზავნით დანართებად.

გთხოვთ უზრუნველყოთ არასწორად ეტიკეტირებული პროდუქციის ბაზრიდან ამოღება.

მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი რეაგირების შესახებ, რათა ეს ინფორმაცია საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გავხადოთ.

www.moxmarebeli.ge
მოხმარებელი.ge
საკითხს ამუქებს

პატივისცემით,

ვახტანგ კობალაძე
პროგრამის კოორდინატორი